

გიორგი
ჩუბინაშვილი
ბიობიბლიოგრაფია.



«მეცნიერება» 1977

Георгий
Чубинашвили
(1895–1973)
Биобиблиография



Издательство «Мешниереба»
Тбилиси
1977

გიორგი
ჩუბინაშვილი
(1895–1973)
ბიობიბლიოგრაფია



კამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი
1977

გამოჩენილი ქართველი ხელოვნებათმცოდნის აკად. გ. ჩუბინაშვილის ბიობიბლიოგრაფიაში თავმოყრილია 1913—1976 წლების ლიტერატურა: სამეცნიერო შრომები, რეცენზიები და გამოხმაურებები ამ შრომებზე, გ. ჩუბინაშვილის რედაქციით გამოცემული შრომები, ლოტერატურა მის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურად. ბიობიბლიოგრაფიას შინ უძღვის გ. ჩუბინაშვილის მოქლე ბიოგრაფია და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოლგორითობის მოქლე მიმთხველება. ერთვის შრომების ანანური და სახელთა საძიებლები.

В биобиблиографии выдающегося грузинского искусствоведа академика Г. Н. Чубинашвили собрана литература 1913—1976 годов: научные труды, рецензии на них, труды изданные под редакцией Г. Н. Чубинашвили и литература о нем.

Материал расположен в хронологическом порядке. К биобиблиографии предпосланы биография, краткий очерк научной и общественной деятельности Г. Н. Чубинашвили, прилагаются алфавитный указатель трудов и именной указатель.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი საჩედაქციო კოლეგია: შ. ჭიათური (მ. რედაქტორი), ლ. გაბოა, თ. დავითაძე, მ. დარასელიძე, ვ. კუპრაძე, ვ. მახალაძე, ვ. ოკუდჯავა, ა. პრანგიშვილი, გ. ციციშვილი, ს. ხადური (მდგრადი)


შემდგენლები: მ. ბარკავა, ე. დოლიძე
რედაქტორები: გ. ბერიძე, ნ. გურგენიძე
ბიობიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნაკაშიძე

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Ш. Дзидзигури (глав. ред.), Л. Габуния, Ф. Давитая, М. Дараселия, В. Купрадзе, В. Махалдiani, В. Окуджава, А. Прангишвили, Г. Цицишвили, С. Хадури (секретарь)

Составители: М. Баркова, Э. Долидзе

Редакторы: В. Беридзе, Н. Гургенидзе

Библиографический редактор: Т. Накашидзе



აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ თითქმის ექვს ათეულ წელს გასტანა. მას წილად ხვდა მძიმე, მაგრამ საპატიო მისია გამხდარიყო მთელი სამეცნიერო დარგის — ქართული ხელოვნების ისტორიის — დამფუძნებელი. მან აღზარდა ქართველ მხატვართა, მოქანდაკეთა, ხუროთმოძღვართა და ხელოვნების მცულნეთა მრავალი თაობა. ნახევარ საუკუნეშე მეტი წელის განმავლობაში იგი აქტიური მონაწილე და, ხშირად, ხელმძღვანელიც იყო მთელი იმ საქმიანობისა, რომელიც საქართველოში წარმოებდა ნივთიერი კულტურის ძეგლთა პლევისა და დაცვის, მუზეუმებისა და ძველი ხელოვნების გამოფენების მოწყობის დარგში.

გ. ჩუბინაშვილის დვაწლის მნიშვნელობა სცილდება ხელოვნებათმეცნიერების დარგს. მისი შრომები შუქს პფენის მთლიანად ქართველი ერის ისტორიის მრავალ პრინციპულ საკითხს, აშუქებს შუა საუკუნეთა ხელოვნების ზოგადი ისტორიის მრავალ საყურადღებო პრობლემას. იმავე დროს, იგი მუდაშ ცხოველ ინტერესს იჩენდა დღევანდელი ქართული ხელოვნებისადმი, გულთან ახლო მიჰკონდა მისი წარმატებები და სიძნელეები — იგი თვით მონაწილეობდა განახლებული ქართული ხელოვნების ჩამოყალიბებაში.

გ. ჩუბინაშვილი დაიბადა პეტერბურგში 1885 წლის 21 ნოემბერს (ძეველი სტილით). იგი იმ ოჯახის შთამომავალი იყო, რომელმაც უკვე XVIII ს-დან ქართულ კულტურას თვალსაჩინო მოღვაწეები შესძინა*. მის წინაპართა შორის იყვნენ ერეკლე II-ის მეს-

* მათი გვარი გიორგიშვილი ყოფილა. ჩუბინი (კარგი მსროლელი) ერთ-ერთ გორგიშვალისას შეურქმევიათ. აქედან წარმომდგარა ახალი გვარი — ჯერ ჩუბინები, შემდგევ ჩუბინაშვილი.

ტაშბე დავითი, მკვლევარი-ლექსიკოგრაფი ხიქო ჩუბინაშვილი, რომელმაც 1845 წელს პალესტინაში იმოგზაურა და ამ მოგზაურობის აღწერაც დაგვიტოვა. გიორგის პაპა დავით იესეს ძე, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ავტორია ცნობილი ლექსიკონებისა, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. იგი სიცოცხლის ბოლომდე (1891 წლის დეკემბერი) პეტერბურგში ცხოვრობდა და იქვეა დაქრძალული. გიორგის მამა წიკოლოზი საოლქო სასამართლოს წევრი იყო. ცოლად მას ჯაჭანშვილის ქალი ჰყავდა.

ბავშვი მაღალი კულტურის ატმოსფეროში იზრდებოდა. დავითის ქვრივი, სერგოვსკის ქალი, კარგი მუსიკოსი იყო და გიორგის ბოლომდე შერჩა მუსიკის სიყვარული და ღრმა ცოდნა, რომელიც იმთავითვე ჰქონდა ჩანერგილი. ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ გერმანულ ენას, რომელსაც შემდეგ მშობლიურ ენასავით ფლობდა, ათიოდე წლისა კი მიაბარეს პეტერბურგის გერმანულ სასწავლებელში, რომელიც 1905 წელს დამთავრა.

გ. ჩუბინაშვილი ყოველთვის მადლობით იგონებდა სკოლის ზოგ მასწავლებელს, რომელიც ბავშვებს დამოუკიდებელ აზროვნებას აჩვევდა, უღვივებდა ინტერესს სოციალური და ეთიკური პრობლემებისადმი (უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ორი საუკუნის მიჯნა იყო, 1905 წლის რევოლუციის წინა ხანა). მის ახლობელ მეგობართა შორის იყვნენ რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდებიც. ამ პერიოდში ეცნობა იგი ხელოვნების ისტორიის საკითხებსაც. სკოლის დირექტორმა უფროსკლასელებისთვის მიიწვია ანტიკური ხელოვნების ცნობილი სპეციალისტი ოსკარ ვალდჰაუერი, რომელიც ბერძნული სკულპტურის შესახებ პროსემინარულ მეცადინებასაც ატარებდა უფრო მეტად დაინტერესებული მოსწავლეებისთვის, რომელთა შორის გ. ჩუბინაშვილიც იყო.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო გიორგი, როდესაც საჭარო ბიბლიოთეკაში სისტემურად სიძრული დაიწყო. აინტერესებდა უმეტესად ფილოსოფია და, განსაკუთრებით, ფისიკოლოგია. მაგრამ უკვე მაშინ ჩაისახა გატაცებაც, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მისი შემდგომი ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის. — ეს იყო გატაცება საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებით, რაც განსაზღვრა შორეული სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულის გრძნობამ, რომელსაც მას ბავშვობიდანვე უნერგავდნენ დავითის გარდაცვალების შემდეგაც, მის სახლში კირაობით იკრიბებოდნენ პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები, ქარ-

თული კულტურის მოღვაწენი და ჭაბუკი გიორგი გატაცებით ის-
მენდა მათს საუბარს საქართველოს წარსულისა და დღევანდელი
დღის შესახებ. დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე საქართველო-
ში მოგზაურობაში 1901 წელს, ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრაში. გან-
საკუთრებული გავლენა მოახდინა მისი პიროვნების ჩამოყალიბება-
ზე დიდად ნიჭიერმა სტუდენტმა გოგლო ყაზახშვილმა, რომელიც
ლიტერატურული ნიჭით იყო დაჯილდოებული, მშვენივრად იცნობ-
და ქართულ კულტურას, თავისი ქვეყნის ცხოვრებას, მის ჭირ-გა-
რაში, და ყველაფერს ამას აცნობდა გიორგისაც.

ახალგაზრდა გ. ჩუბინაშვილი ჩაუკდა ოავისი პაპის ბიბლიოთე-
კას, გადაიყითხა წიგნები და ხელნაწერები, რომლებიც საქართვე-
ლოს ისტორიასა და მწერლობას ეხებოდა და დამოუკიდებლად შე-
ისწავლა ქართული წერა-კითხება.

სკოლის დამთავრების შემდეგ გ. ჩუბინაშვილი სწავლის გასა-
გრძელებლად ლაიფციგს გაემგზავრა და იქ 1912-მდე დაჰყო. სწავ-
ლობდა ფილოსოფიას, ძირითადად კა ხალხთა ფსიქოლოგიას, სა-
ღონქტორო დისერტაციის თემად მას „კიმბირელ შამანთა ფუნქციე-
ბი“ ჰქონდა. იმავე დროს, იგი ესწრებოდა ლექციებსა და სემინარულ
მეცანიერობას ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, ბევრს მოგზა-
ურობდა გვირმანიაში და მეზობელ ქვეყნებში ხუროთმოძღვრების
ძეგლთა და მუზეუმების გასაცნობად. იმთავითვე გაირკვა, რომ კვე-
ლაზე მეტად მას იზიდავდა რომანული ხუროთმოძღვრება, რაკი მი-
სი ძეგლები ძალაუნებურად აგონებდა ქართულ ტეგლებს და მათ-
თან შედარების სურვილს აღუძრავდა.

პეტერბურგს დაბრუნებულმა გ. ჩუბინაშვილმა საბოლოოდ გა-
დაწყვიტა, რომ თავისი ცხოვრების საქმედ ქართული ხელოვნების
შესწავლა გაეხადა. იგი ჩაირიცხა გრაფ ზუბოვის მიერ დაარსებულ
ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, სადაც ბიზანტიური ხელოვ-
ნების ცნობილი სპეციალისტის დიმიტრი აინალოვის ლექციებს ის-
მენდა, შემდეგ კი უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის
ქართულ-სომხურ-სპარსული განყოფილების თავისუფალ მსმენე-
ლად. მისი უშუალო ხელმძღვანელები იყვნენ აკადემიკოსი ნიკო მა-
რი, ივანე ჭავახიშვილი — მაშინ უნივერსიტეტის პრივატ-დოცენ-
ტი და აკად. იაკობ სმიტნოვი — აღმოსავლური ხელოვნების დი-
დი მცოდნე, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი თავის მასწავლებლად
თვლიდა. ნიკო მარი, რომელიც მაშინ სომხეთის ძველ დედაქალაქ
ანისში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა, გ. ჩუბინაშვილიც

ჩართო ამ მუშაობაში. 1916 წელს გ. ჩუბინაშვილმა ანისის კამპანია დამოუკიდებლად ჩაატარა, რადგანაც მარი სხვა ექსპედიციაში იყო წასული. უკვე იმ დროიდან იწყებს გ. ჩუბინაშვილი სომხური ხელოვნების გაცნობასა და სერიოზულ შესწავლას. მაშინ ქვეყნდება მისი პირველი ნაშრომი ქართული ხელოვნების შესახებაც — მცირე გამოკვლევა საორბისის 1152 წლის ეკლესიის შესახებ — მარის მიერ დაარსებული უზრნალის „ხრისტიანსკი ვოსტოკის“ IV ტომში (1915 წლის ტომია, გამოქვეყნდა 1916-ს).

1917 წლის ბოლოს გ. ჩუბინაშვილი თბილის გადმოსახლდა საცხოვრებლად, 1918 წლის დასასრულიდან კი მოწვეულ იქნა ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის პროფესორად. იგი სათავეში ჩაუდგა ხელოვნების ისტორიის კათედრას და მასთან შექმნილ ე. წ. „ხელოვნების მეცნიერების კაბინეტს“, რომელიც იქცა ძველი ქართული ხელოვნების დარგში სამეცნიერო კვლევა-ძიების პირველ ცენტრად. მაშინ ჩაეყარა საფუძველი კვლევლიურ სისტემურ სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხუროთმოძღვრების ძეგლთა აზომებისა და შესწავლისათვის. მაშინ გ. ჩუბინაშვილს ერთადერთი თანამშრომელი ჰყავდა — არქიტექტორი ნიკოლოზ სევეროვი, რომელმაც შემდეგში სახელი მოიხვევა პრაქტიკული მოღვაწეობითაც და ქართული ძეგლების შესწავლის დარგში მუშაობითაც, როგორც გ. ჩუბინაშვილის უახლოესმა თანაშემწერმ. უფრო გვიან საქესპედიციო მუშაობა დიდად გაფართოდა, მან მოიცვა ხელოვნების სხვა დარგებიც. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე დაგროვდა უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც წარმოადგენდა აუცილებელ საფუძველს მეცნიერული კვლევის, ანალიზისა და განზოგადოებისათვის.

დიდი როლი შესასრულა გიორგი ჩუბინაშვილმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ქართულ სიძველეთა დაცვისა და მოგროვების, სამუშაულო საქმის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენების საქმეში. უფრო გვიან იგი სისტემურად აწყობდა ძველი ქართული ხელოვნების გამოფენებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოძრავი გამოთვენა, რომელიც ნაჩვენები იყო გერმანიის რამდენსამე დიდ ქალაქში 1930 წელს. გამოიცა საგანგებო წიგნაკუ-კატალოგი გ. ჩუბინაშვილის ტექსტით, მანვე წაიკითხა ლექციების ციკლი ბერლინში, კელნში, ლაიფციგში, მიუხენში და სხვ., გმოფენამაც და ლექციებმაც, რო-

გორც გერმანული პრესა მოწმობს, განსაკუთრებული არტერესი ვამოიშვია.

სიცოცხლის ბოლომდე გ. ჩუბინაშვილი იყო კულტურის ტეგლ-თა დაცვის საქართველოს საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, მუდმივი მრჩეველი და უმჭველად ყველაზე დიდი ავტო-რიტეტი ძეგლთა ჩესტავრაციის პრინციპული საკითხების გადაწ-ყვეტისას. დიდი დრო და ძალ-ლონე შეალია მან სვანეთის ძეგ-ლებს, მათ შესწავლას, აღრიცხვას, თავმოყრას, განსაკუთრებით ალელვებდა მესტიაში მუზეუმის მოწყობის საკითხი. ამის თაო-ბაზე ბევრჯერ შეუდგენია საგანგებო დასაბუთებული მოხსენები-თი ბარათები.

როდესაც გ. ჩუბინაშვილის, როგორც პროფესორის, ღვაწლზე ვლაპარაკობთ, უნივერსიტეტთან ერთად უნდა ვასენოთ ქართული სამხატვრო აკადემია, რომელსაც იგი მეთაურობდა დაარსებიდანვე, ექვსი წლის განმავლობაში.

საქართველოს სამხატვრო აკადემია — პირველი უმცილესი სამხატვრო სასწავლებელი მთელ ამიერქავებისაში, 1922 წლის მა-ისში გაიხსნა. მას რთულ პირობებში უხდებოდა პირველი ნაბიჯე-ბის გადადგმა. გარდა ჩვეულებრივი სინდელებისა, რომლებიც თან ახლავს ყოველ ახალ საქმეს, აქ ბევრი სხვა რმევი არის გასათვა-ლისწინებელი: თვით დრო იყო რთული. აკადემია იშვა გარდატეხის წლებში, როცა იდეოლოგიის, კერძოდ, ხელოვნების სფეროში ახა-ლი ამოცანების ამოქნის გზები ხშირად ბუნდოვანი და სადაცო იყო. ნამდვილად მოწინავე რევოლუციურ ძევებთან ერთად, ბევრი იყო იაფთასიანი და ფსევდორევოლუციურიც, ბევრი იყო ყალბი მყვირალა ფრაზა. ახალგაზრდობა ადვილად შეიძლებოდა აცდენო-და გზას, მით უფრო, რომ იმავე დროს ეს იყო მთელ მსოფლიოში სხვადასხვა ფორმალისტური მიმდინარეობის მოძალების ხანაც. გ. ჩუბინაშვილმა შეიძლო — თუმცა ამისათვის მას მძიმე ბრძოლის გადატანაც უხდებოდა — მტკიცე პროფესიულ და ჩეალისტურ სა-ფუძველზე დაემკვიდრებინა სწავლება, დაეცვა სტუდენტობა ზერე-ლე უნიადაგო გატაცებათაგან, აღეზარდა ახალგაზრდები ისე, რომ მათ შეძლებოდათ ახალი ცხოვრების მიერ ხელოვნების წინაშე და-სახული ამოცანების ღირსეულად ამოხსნა. მან შემოიკრიბა პედა-გოგთა კოლეგიივი, რომელიც იმ დროს საქართველოში მომუშავე ჩველაზე თვალსაჩინო მხატვრების, მოქანდაკეებისა და სუროთმოძლ-ვრებისაგან შედგებოდა. სამხატვრო აკადემიის მნიშვნელობა ქარ-

თული ჟელოვნების აღორძინებისათვის ფასდაუდებელია. მისი პირველი აღზრდილები უკვე ოციან-ოცდათიანი წლების მიჯნაზე გამოვიდნენ სამოლვაშეო ასპარეზზე. პედაგოგიურ მოლვაშეობას აკადემიასა და უნივერსიტეტში გ. ჩუბინაშვილი უფრო გვიანაც განაგრძობდა, შემდეგ კი განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშავთა აღზრდას.

სხვადასხვა დროს გ. ჩუბინაშვილი იყო საქართველოს მუზეუმის არქეოლოგისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე, ხელოვნების მუზეუმის „მეტების“ ხუროთ-მოძღვრების განყოფილების გამგე, მრავალი სხვადასხვა სამეცნიერო და სამხატვრო საბჭოს წევრი.

1941 წელს, როდესაც დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გ. ჩუბინაშვილი მის პირველ შემადგენლობაში აირჩიეს, ხოლო მავრე წლის 1 აპრილს იგი დაინიშნა ახლად შექმნილი ხელოვნების მსტორის ინსტიტუტის (თავდაპირველად სექტორი ერქვა) დირექტორად. ამ თანამდებობაზე იყო 32 წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ და დავათასოთ გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერული ღვაწლი, საჭიროა გავითვალისწინოთ, როგორი იყო ქართული ხელოვნების შესწავლის ვითარება ოქტომბრის რევოლუციამდე.

XIX ს-ის მანძილზე და XX ს-ის დასაწყისში ქართველმა და რუსმა მკვლევარებმა ქართულ სიძველეთა შესახებ დიდი მასალა დააგროვეს. მარი ბროსეს, პლატონ იოსელიანის, დიმიტრი ბაქრაძის, დიმიტრი მელიქინგუთუხუცესის შვილის, გრ. გაგარინის, უვაროვას, პავლინოვის, ნიკოლიმე კონდაკოვის, ნიკო მარის, განსაკუთრებით კი საქართველოს წარსულის დაუღალავი მკვლევარის ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი, ამ მხრივ, კარგადა ცნობილი. მათ წიგნებს, რათქმა უნდა, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ზოგს — დიდი მნიშვნელობაც. ასევე დიდი ფასი აქვს მაშინდელ ფოტოსურათებსაც, რომლებიც უმეტესად აღ. როინაშვილისა და დ. ერმაკოვის მიერაა გადაღებული. მაგრამ სულ მცირე გამონაკლისით, დაგროვილი მასალის კვლევა არ სცილდებოდა ძეგლთა, ასე ვთქვათ, არქეოლოგიური დამუშავების ფარგლებს, რაც საერთოდ ახასიათებდა გაშინ ბიზანტიური და ე. წ. აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნებისადმი მიძღვნილ ნაშრომებს. ორი-სამი ავტორის გარდა, ყველა სხვა თავისი განათლებით ისტორიკოსი ან ფილოლოგი იყო.

ზუროთმოძღვრების, მხატვრობის ან ოქრომჭედლობის ძეგლები მათ აინტერესებდათ მხოლოდ როგორც ისტორიული დოკუმენტები, როგორც დამსმარე მასალა ისტორიის გაშაშუქებლად. არ იყო დადგენილი ქართული ხელოვნების უმთავრეს ძეგლთა თარიღები, გაურკვეველი იყო მისი განვითარების ძირითადი ეტაპებიც კი.

იმავე დროს, სპეციალურ ლიტერატურაში ქართული ხელოვნების ჩაობა, მისი ადგილი სხვა ქვეყნების ხელოვნებათა წრეში სრულიად მცდარად იყო გაშუქებული. ევროპულ ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა უსაფუძვლო აზრშა, თითქოს ქართული ხელოვნება მოკლებული იყო დამოუკიდებელ მნიშვნელობას, რომ იგი მხოლოდ ბიზანტიური და სომხური ხელოვნების განშტოება იყო. არ სებითად, იმ აზრს, რომ ქართული ხელოვნება მთლიანად ბიზანტიურის ფარგლებში ექცევა, არც რუსი და ქართველი მეცნიერები უარყოფდნენ, თუმცა მის ზოგ თავისებურებასაც აღნიშნავდნენ. აღარაფერს ვამზობ იმაზე, რომ ის მცირედიც, რაც უცხოეთში ქართული ხელოვნების შესახებ იწერებოდა, საესე იყო უხეში ფაქტობრივი შეცდომებით. ეს, კთადია, არა მარტო მცდარი მეთოდოლოგით ასხსნებოდა, არამედ სრულიად უქმარისი ინფორმაციითაც ქართული ხელოვნების შესახებ.

აյეთ პირობებში, როცა მთელი შენობა ქართული ხელოვნების ისტორიისა თავიდან იყო დასაფუძნებელი, მეცნიერს, უპირველეს ყოვლისა, თავისი მომავალი მუშაობის მიზანდასახული და ნათლად ჩამოყალიბებული გეგმა უნდა შეემუშავებინა, და მართლაც, სწორედ მკაცრი სისტემურობა, ზღვა მასალიდან და ამოცანა-თავან უმთავრეს პრობლემათა ნათლად გამოყოფა, ძირითადი საკონტენტისათვის მეორეხარისხსხვანთა დამორჩილება, საკითხთა სიღრმეში ჩაწერილი უნარი, ანალიზის სიმახვილე და სიფაქიზე — დიდი მეცნიერის ეს თვისებები — გამოიჩინა გიორგი ჩუბინაშვილმა სამეცნიერო მოლვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე.

ბუნებრივია, რომ პირველი ადგილი მან დაუთმო ხუროთმოძღვრებას, რომელიც შუა საუკუნეების მანძილზე ხელოვნების წამყვანი დარგი იყო ყველა ქვეყანაში. ხუროთმოძღვრების ევოლუციის დადგენა გადაიქცა საფუძვლად მთელი ქართული ხელოვნების პერიოდიზაციისა და მისი სტილისტიკური საფეხურების გამოსავლენად.

თავისი კვლევის პირველ ობიექტად მან აირჩია ბაზილიკები, საკულტო ნაგებობის ერთ-ერთი უძველესი სახეობა, გავრცელებუ-

ლი მთელ საქრისტიანო სამყაროში. სტილისტიკური ანალიზისა და წერილობითი საბუთების კრიტიკული დამუშავების საფუძველზე მან დაადგინა უმთავრეს ბაზილიგათა თარიღები შეისწავლა მანამდეს უცნობი ნიმუშები. დაასაბუთა, რომ ქართული ბაზილიკები, მთხვედავად იდეურ-თემატიკური ერთიანობისა ცველა ქრისტიანული ქვეყნის ბაზილიკებთან, შეადგენს დამოუკიდებელ ჯგუფს, რომელიც უფრო მეტად ენთეზსვება წინა აღმოსავლურ ნიმუშებს და საფეხბით განსხვავდება რომაულ-ელინისტურთაგან (იხ. მისი წიგნები ბოლნისის სიონისა და კახეთის არქიტექტურის შესახებ, ქართული ხელოვნების ისტორიის I ტომი). გამოავლინა უგუმბათო შენობათა თავისებური ტიპი, მის მიერ სამეცნიერო ბაზილიკად წოდებული, შემუშავებული და გავრცელებული მხოლოდ საქართველოში, აღრეულ შუა საუკუნეებში.

განსაკუთრებით დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს მონოგრაფიას ჭვარის ტიპის ძეგლთა შესახებ — არა მარტო იმიტომ, რომ თვით ეს ტიპი მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ნიმუშებით არის წარმოდგენილი და ქართული ხუროთმოძღვრების ორგანული განვითარების ნაყოფს შეადგენს, არამედ იმიტომაც, რომ ყალბი კონცეცია მთლიანად ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ სწორედ ამ ტიპის ძეგლთა მცდარი ინტერპრეტაციის საფუძველზე აღმოცენდა. ბუნებრივია, მეცნიერული ჰეშმარიტების აღდგენა, ძეგლთა ნამდვილი ადგილისა და ლირსების ჩვენება, აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მთელი ძეგლი ქართული არქიტექტურა მართებულად ყოფილიყო შეფასებული.

მონოგრაფიულად გამოიკვლია გ. ჩუბინაშვილმა ქართული გუმბათოვნი არქიტექტურის მომდევნო ეტაპიც — VII ს-ის ოცანოცდათანი წლების მიხნაზე აგებული წრომის ტაძარი. დიდად საყურადღებოა მისი დასკვნა, რომ ეს შენობა, რომელშიაც გუმბათი კედლებს კი არ ეყრდნობა, როგორც ჭვარის ტიპის ძეგლებში, არამედ ოთხ თავისუფლად მდგომ ბოძს, ერთი უაღრესი დასრულებული ნიმუშთაგანია მრავალ ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული ტიპისა (ამ ტიპს „ჩახაზულ ჭვარს“ უწოდებენ).

ორივე ეს მონოგრაფია, მათში განხილულ პრობლემათა სიმრავლითა და მნიშვნელობით, დიდად სცილდება ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ფარგლებს და ანგარიშგასწევია მთელი ახლოაღმოსავლური არქიტექტურის ისტორიის შესწავლის დროს.

აღრინდელი ხანისადმი მიძღვნილი კვლევა-ძიება გ ჩუბინა-

შვილმა განაზოგა „ქართული ხელოვნების ისტორიის“ I ტომში (1936 წ.), რომელიც მოიცავს დროის მონაკვეთს უადრესი ხანიდან ჩვენი წელთაღრიცხვის VII ს-ის ნახევრამდე.

გ. ჩუბინაშვილმა იმთავითვე დიდი ყურადღება მიაქცია ქართული ხალხური საცხოვრებელი სახლის ხუროთმოძღვრებას, უპირველეს ყოვლისა, „დარბაზის“ ტიპს (იხილე ოციან წლებში მისი შესავალი ტექსტითა და რედაქტირით გამოსული ალბომები „ქართლის დარბაზი“). მან წამოაყენა დებულება, რომ დარბაზის ტიპის ცენტრალურმა კომპოზიციებმა არსებითი როლი შეასრულა შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური გუმბათოვანი არქიტექტურის ჩამოყალიბების პროცესში. ასევე, გ. ჩუბინაშვილმა პირველმა შეისწავლა ქართული საერო ხუროთმოძღვრების ნიმუშები — VIII—IX საუკუნეთა ფეოდალური სასახლეები კახეთში.

გ. ჩუბინაშვილი — თუმცა კი მისი მონოგრაფიები ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებისადმი იყო მიძღვნილი — არ შემოფარგლულა მხოლოდ ამ ხანით. უკვე 1925 წ. გამოვევუნდა მისი ნარქვევი—მოცულობით მცირე. მაგრამ შინაარსით მნიშვნელოვანი — ალავერდისა და ბაგრატის ტაძრებისა და სვეტიცხოვლის შესახებ. მან ეს სამი ნაგებობა გამოჰყო, როგორც განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ფურემდებელი ძეგლები, რომლებშიაც ეპოქის სტილი ყველაზე მკაფიო, დასრულებულ გამოხატულებას ჰქონდება. მანვე მიაკუთხა ამ ეპოქის და საქმაოდ ვიწრო ქრისტიანულ ფარგლებში მოაქცია ალავერდისა და სვეტიცხოვლის ტაძრები, რომელთა თარიღები მანამდის დაუდგენელი იყო. უფრო გვიან მისი თარიღები დადასტურდა დოკუმენტური მონაცემებით.

ეს და სხვა წერილებიც, აგრეთვე მის მიერ გამართული გამოფენები მოწმობს, რომ უკვე მაშინ, ოციან-ოცდაათიანი წლების მიჯნაზე, გ. ჩუბინაშვილს მთლიანად შემუშავებული ჰქონდა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების სურათი შუა საუკუნეების მთელ მანძილზე, თვით XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნამდე.

პირველად მთელი სისრულით ეს სურათი მან გადაშალა 1936 წელს თავის ცნობილ მოხსენებაში საქართველოს არქიტექტორთა I ყრილობაზე. ეს ნაშრომი — „ქართული არქიტექტურის გზები“ — უნდა ჩაითვალოს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების პირველ შეცნიერულ ისტორიად; რომელიც ნაჩვენები იყო თვით განვითარების პროცესი, სტილისტიკური საფეხურები.

გ. ჩუბინაშვილის სხვა ნაშრომთაგან, რომლებიც ხუროთმო-

ღვრებისადმია მიძლვნილი, ყველაზე მნიშვნელოვანია მონუმენტური მონოგრაფია ქახეთის ოქანიტექტურის შესახებ, რომელიც მოიცავს ხანს IV ს-დან XVIII-მდე. წიგნში განხილულია როგორც საერო, ისე საექლესიო ნაგებობათა ნიმუშები, მოცემულია ტიპოლოგიური დაჯგუფება, ძეგლთა ანალიზი, ეკოლუციის სურათი. აქაც წმომჭრილია მრავალი ზოგადი მნიშვნელობის პრობლემა, განხილულია უზარმაზარი პარალელური მასალა. ასევე საყურადღებოა ნაშრომები გარდამავალი ხანის (VII—X სს.) სხვადასხვა ხუროთმოძღვრულ ძეგლთა, კუმურდოსა და ნიკორწმინდის, განსაკუთრებით კი დაცით გარეჯის გამოქვაბულ მონასტერთა შესახებ. ამ უკანასკნელში დახატულია ცოცხალი სურათი მონასტრების ცხოვრებისა და კულტურული საქმიანობისა მრავალი საუკუნის მანძილზე, მთავარი კი ის არის, რომ განხილულია მრავალრიცხოვანი ფრესკა, რომლებიც ქართული მონუმენტური მხატვრობის მნიშვნელოვან ძეგლებს შეადგენს.

ხუროთმოძღვრებაზე არანაკლებ ადგილს უთმობდა თავის კელევა-ძიებაში გ. ჩუბინაშვილი შუა საუკუნეების ოქრომჭედლობას, რომლის ნიმუშებითაც საქართველოს ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს მსოფლიოში. გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა საქართველოს მუზეუმებში თავმოყრილი და ადგილებზე (უმეტესად სვანეთში) დარჩენილი ურიცხვი ძეგლი, დააჯგუფა და დაათარიღა ისინი, აქაც წარმოგვიდგინა სტილის ევოლუცია, დაამტკიცა, რომ ქართულმა პლასტიკურმა ხელოვნებამ, რომელმაც ყველაზე მკაფიო და მრავალმხრივი გამოსახვა სწორედ ოქრომჭედლობაში ჰპოვა, სრულიად თავისებური, დამოუკიდებელი გზა განვლო დასავლურ პლასტიკასთან შედარებით.

გ. ჩუბინაშვილის მიერ უმეტესად ოქრომჭედლობის ნიმუშებზე ნაჩვენები ევოლუცია, რა თქმა უნდა, საერთოა ლითონის, ქვისა და ხის პლასტიკისათვის. გ. ჩუბინაშვილის თანახმად, შუა საუკუნეების ქანდაკების დაწყებით საფეხურზე — V-VI სს-ში, ადგილი აქვს ანტიკურობიდან მომდინარე ხერხებისა და ფორმების თავისებურ გაზრებას. ამას მოსდევს საფეხური, როდესაც ოსტატები სავსებით უკუაგდებენ ანტიკური გამომსახველობის პრინციპებს, უარს ამბობენ მოცულობის გადმოცემასა და ანატომიურად სწორ პროპორციებზე. ეს ყველაფერი ადგილს უთმობს პირობითობას — სიბრტყითობას, გრაფიკულობას, სხეულის ცალკეული, აზრობრივად მნიშვნელოვანი ნაწილების მკვეთრად გამოყოფას, ხაზგასმულ

ექსპრესიულობას. მაგრამ ეს ხელოვნების დაცემის მაჩვენებელი კი არ არის, ეს ბუნებრივი და აუცილებელი საფეხურია შემდგომი და-მოუკიდებელი განვითარებისათვის. ამ საფეხურს შეიძლება ოვალი გავადევნოთ ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა და ქვის სტელების რე-ლიეფების, აგრეთვე VIII—IX სს. ჰედური ნივთების მიხედვით. X—XI სს. მიჯნაზე, უფრო კი XI ს. პირველ ნახევარში, როდესაც ფეოდალური საქართველოს ხელოვნება, საერთო პოლიტიკური ეკონომიკური აღზევების დროს, ხელახალ აყვავებას განიცდის, ქარ-თულ პლასტიკაშიაც ჩნდება ახალი ამოცანა, — ადამიანის სხეუ-ლის საკუთრივ სკულპტურული, მოცულობითი, სწორი პლასტიკუ-რი გადმოცემისა, სწორი პროპორციული აგებისა. სწორედ ამ ხანას, როცა საერთოდ იზრდება ცოცხალი, „მატერიალური“ ადამიანისა-დმი ინტერესი, მიეკუთხნება ქართული ქვის პლასტიკისა (ფასადთა და კანქელების რელიეფები) და ოქრომქანდაკებლობის საუკეთესო ნიმუშები. ამ მხრივ საქართველო თითქმის მთელი საუკუნით უსწ-რებს წინ დასავლეთ ევროპას, მაგრამ ეს განვითარება — სხვადა-სხვა ისტორიული და იდეოლოგიური ხასიათის მიზეზის გამო— XI ს-ის მეორე ნახევრიდან წყდება.

ამ დებულებებს მკითხველი იპოვის ხუროთმოძღვრულ ქეგლ-თადმი მიძღვნილ ნაშრომებში („ბოლნისი“, „ჯვრის ტიპის ქეგლე-ბი“), უმეტესად კი კაპიტალურ მონოგრაფიაში, რომელიც გ. ჩუ-ბინაშვილმა ქართულ ოქრომჭიდლობას უძღვნა (გამოვიდა აგრეთვე დიდი ალბომი მოკლე ზუთენოვანი ტექსტით და მრავალი ტაბუ-ლით, რომლებზედაც ზოგი ნაწარმოები ნამდვილი ზომითაა წარმო-დგენილი).

ამგვარად, გ. ჩუბინაშვილის კვლევის ძირითად საგანს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება შეადგენდა, რაღაცაც შუა საუ-კუნეებში გამოიკვეთა მეათიოდ მისი ეროვნული თავისებურება, მაშინ მიაღწია განვითარებასა და სრულ სიმწიფეს ხელოვნების უმთავრესმა დარგებმა. ამ თავისებურებათა და განვითარების წარ-მოჩენა სწორედ გიორგი ჩუბინაშვილის დამსახურებაა. მან გამოავ-ლინა ქართული ხელოვნების ისტორიული აღგილი, მისი შეფარდე-ბა ბიზანტიურ სამყაროსთან, დასავლურ და წინააღმოსავლურ ხე-ლოვნებასთან, მან პირველმა გვიჩვენა, რომ ქართული ხელოვნება, ისევე, როგორც უკელა ქვეყნის ხელოვნებაც, განუყოფელია ოვით ქვეყნის ისტორიისაგან, ხალხის ცოცხალი ცხოვრებისაგან, რომ იგი ხალხის შემოქმედების ორგანული ნაყოფია. არსებითად, გ. ჩუბინა-

შეილმა პირველმა შეხედა ქართულ სიძველეებს ხელოვნებათმცოდნის, ხელოვნების ისტორიკოსის თვალით, პირველმა გამოიყენა მათი დახასიათებისათვის სტილის კატეგორიები. ეს კი განსაკუთრებით ძნელი იყო, რადგანაც მანამდე შეგვარად მხოლოდ ანტიკური და რენესანსული ხელოვნება იყო გაშუქებული, ხოლო ე. წ. ძველი ქრისტიანული და ბიზანტიური ხელოვნების კვლევისას სტილისტიკური ანალიზი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში გვხვდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გ. ჩუბინაშვილმა ქართული ხელოვნების კვლევა მოწინავე ხელოვნებათმეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზედ აიყვანა.

ბუნებრივია, რომ აქეთი დიაპაზონის მკვლევარი, რომელიც ქართულ ხელოვნებას გამოცალევებულად კი არ სწავლობდა, არამედ სხვა ქვეყნებთან კავშირში, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მეზობელი ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა, სომხეთის ხუროთმოძღვრებისადმი. მან რამდენიმე ექსპედიცია მოაწყო სომხეთში, მიუძღვნა ას ქვეყნის არქიტექტურას ცალკეული გამოკვლევები და დადი განზოგადოებული მონოგრაფიაც.

გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევები სცილდება შუა საუკუნეების ფარგლებსაც. არსებითად, იგი პიონერია წინაქრისტიანული ქართული ხუროთმოძღვრების სახელოვნებათმცოდნეო თვალსაზრისით შესწავლის საქმეშიაც (იხ. მისი „საქართველოს წინაფეოდალური არქიტექტურის განვითარების ნარიევი“, 1959 წ.). იგი რედაქტორობდა მცხეთის არქეოლოგიური გათხრებისადმი მიძღვნილ ტომს, იყო მიმრნოვის ნაშრომს ახალგორის განძის შესახებ. სამწუხაროდ, გამოუქვეყნებელი (და, როგორც ჩანს, დაუწერელიც) დარჩა მისი დიდად საინტერესო მოხსენება არმაზის ნეკროპოლის ნივთებზე.

მეორე მხრივ, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, გ. ჩუბინაშვილი ცხოველ ინტერესს იჩენდა თანამედროვე ქართული ხელოვნების პრობლემებისადმი, განსაკუთრებით ეროვნული ფორმის საკითხისადმი. იგი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ეროვნული ფორმა ისტორიული კატეგორიაა და რომ მექანიკური „ეროვნული“ სტილიზაცია ვერაფერს სასიკეთოს ვერ მოუტანს დღევანდელ ქართულ ხუროთმოძღვრებას.

გ. ჩუბინაშვილი უზარმაზარი ერუდიციის მკვლევარი იყო. ეს ერუდიცია, რა თქმა უნდა, მის ყოველ ნაშრომში იჩენს თავს. შაგრამ ერუდიცია, ცოდნის დემონსტრაცია არასოდეს არ ყოფილა მის-

თვის თვითმიზნად ქცეული. მისი გამოკვლევების ერთი უპირველესი თავისებურებათაგანია საერთო აღნაგობის ღრმად გააზრება, მკაფიო მიზანდასახულობა, რომელსაც ექვემდებარება მთელი მასალა, მტკიცე არგუმენტაცია. წერილობითი წყაროების გამოყენებასთან ერთად, იგი ყოველთვის სწოდებოდა თვით ნაწარმოების ენას, მის მხატვრულ სპეციფიკას — სწორედ ამით განსხვავდება მისი ნაშრომები მის წინამორბედთა ნაშრომებისაგან. ფორმის ანალიზი მის-თვის განუყოფელი იყო ნაწარმოების იდეის ამოხსნისაგან, იგი ყოველთვის მიზნად ისახავდა გაეგო და ეჩვენებინა, რა ამოცანას ისახავდა ყოველ ცალკე შემთხვევაში ნაწარმოების ავტორი.

გ. ჩუბინაშვილი დიდი პიროვნება იყო — ცხოვრებაში თავ-მდაბალი, მოკრძალებული, საქმეში — მტკიცე და ურყევი, პირდა-პირი და პირუთვნელი.

მისი დამსახურება დიდად იყო დაფასებული. მას მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ორდენებით, არჩეული იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

გიორგი ჩუბინაშვილი გარდაიცვალა 1973 წლის 14 იანვარს. დაკრძალულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში.

ვახტანგ ბერიძე

АКАДЕМИК Г. Н. ЧУБИНАШВИЛИ

(Краткий обзор научной и общественной деятельности)

Научная и общественная деятельность академика Г. Н. Чубинашвили продолжалась без малого шесть десятилетий. Ему выпала тяжелая, но почетная миссия стать основоположником целой отрасли науки — истории грузинского искусства. Он воспитал поколения грузинских художников, скульпторов, архитекторов и искусствоведов. В течение более чем пятидесяти лет он был активнейшим участником, а часто и руководителем всей работы, проводившейся в Грузии в области исследования и охраны памятников материальной культуры, организации музеев и выставок древнего искусства. Значение деятельности Г. Чубинашвили не ограничивается лишь пределами искусствоведения. Его труды проливают свет на многие принципиальные вопросы истории грузинского народа, не говоря о том, что освещают также много важных проблем истории средневекового искусства в целом. В то же время, Г. Н. Чубинашвили всегда проявлял живой интерес к современному грузинскому искусству, принимая близко к сердцу его успехи и трудности роста, он сам был одним из участников созидания возрожденного грузинского искусства.

Г. Чубинашвили родился в Петербурге 21 ноября 1885 г. (по старому стилю). Он происходил из семьи, выдвинувшей уже в XVIII в. нескольких видных деятелей грузинской культуры*. Среди его предков были мастер-печатник типографии царя Ираклия II — Давид, исследователь и лексикограф Николай, оставивший весьма интересное описание своего путешествия (в 1845 г.) в Святую землю. Дед Георгия Николаевича — Давид Иессеевич, был профессором Петербургс-

* Прежняя фамилия была Гиоргишвили. Один из Гиоргишвили получил кличку «чубини» (меткий стрелок). Отсюда новая фамилия — сперва Чубинидзе, затем Чубинашвили.

кого университета, автором грузино-русского и русско-грузинского толковых словарей, не потерявших своего значения по сей день. Он до конца жизни (1891) жил в Петербурге, там же и был похоронен. Отец Г. Н. был членом окружного суда, его жена, мать Георгия Николаевича, была урожденная Джаджанашвили.

Ребенок рос в высококультурной среде. Вдова Давида Иессевича была хорошим музыкантом, она и привила внуку любовь и глубокое понимание музыки. С детства же его обучали немецкому языку, которым впоследствии владел в совершенстве, а лет десяти он был отдан в обучение в немецкую школу в Петербурге, которую окончил в 1905 г.

Г. Чубинашвили всегда с благодарностью вспоминал некоторых своих школьных учителей, развивавших в детях навыки самостоятельного мышления, интерес к социальным и этическим проблемам (следует помнить, что это происходило на рубеже двух веков, в канун революции 1905 г.). Среди его близких друзей были и революционно настроенные юноши. Тогда же знакомится он с вопросами истории искусства: директор школы пригласил для занятий со старшеклассниками известного специалиста античного искусства О. Вальдгауера, который с особо заинтересованными учениками (среди них был и Г. Н.) проводил просеминарные занятия по греческой скульптуре.

Еще будучи учеником средней школы, Г. Чубинашвили систематически посещал публичную библиотеку, увлекаясь вопросами философии и, особенно, психологии. Но уже тогда зарождается и другое увлечение, сыгравшее существенную роль во всей его дальнейшей деятельности, увлечение вопросами истории и литературы Грузии, что было вполне естественно, так как глубокую любовь к далекой родине ему сначала же прививали в семье. И после смерти деда, в его доме по воскресениям собирались учившиеся в Петербурге студенты-грузины, а также приезжавшие туда деятели грузинской культуры. Мальчик с увлечением слушал рассказы и суждения о прошлом и настоящем Грузии. Огромное впечатление произвела на него поездка в Грузию в 1901 году, встреча с великим Ильей Чавчавадзе. Наконец, особое влияние оказало на него близкое общение с высокоодаренным студентом Гогло Казахашвили, приглашенным в качестве преподавателя грузинского языка, человеком всесторонне знавшим культуру и жизнь родной страны, делившимся своими знаниями и мыслями с молодым Г. Чубинашвили.

Засев за библиотеку деда, Г. Н. перечел все книги и рукописи, касавшиеся истории и литературы Грузии, и самостоятельно научился грузинской грамоте.

После окончания школы, для продолжения учения Г. Чубинашвили едет в Лейпциг, где остается до 1912 года. Там он изучал философию, в основном же психологию народов. Темой докторской диссертации Г. Н. выбрал «Функции сибирского шамана». Вместе с тем, он посещал лекции и семинары в институте истории искусств, много путешествовал по Германии и соседним странам для ознакомления с музеями и памятниками архитектуры. Более других его привлекали романские памятники, поневоле вызывавшие ассоциации и сравнения с грузинскими.

Вернувшись в Петербург, Г. Н. окончательно решил посвятить себя изучению грузинского искусства. Он стал посещать основанный графом Зубовым институт истории искусства, где слушал лекции известного специалиста византийского искусства Д. В. Айналова, а затем записался вольным слушателем грузино-армяно-персидского отделения Восточного факультета Петербургского Университета. Его непосредственными руководителями были акад. Н. Я. Марр, И. А. Джавахишвили — тогда приват-доцент Университета, крупнейший грузинский историк, основатель (в 1918 г.) грузинского университета и акад. Я. И. Смирнов, выдающийся знаток восточного искусства, которого Г. Чубинашвили считал своим учителем.

Н. Я. Марр, руководивший в те годы археологическими раскопками в древней армянской столице Ани, включил в свою работу и Г. Н. В 1916 г. Г. Чубинашвили самостоятельно провел археологическую компанию в Ани, поскольку Н. Я. Марр был занят в другой экспедиции. Тогда и начинается знакомство и серьезное изучение армянского искусства Георгием Николаевичем. Тогда же появляется первая его печатная работа, посвященная грузинскому искусству — статья о Саорбисской церкви 1152 года, опубликованная в IV томе (за 1915 г.) основанного Н. Я. Марром журнала «Христианский Восток» (номер появился в 1916 г.).

В конце 1917 г. Г. Н. переезжает на постоянное жительство в Тбилиси, а с конца 1918 г. он был приглашен в качестве профессора в только-что основанный грузинский университет. Он возглавил кафедру истории искусства и созданный при ней «Кабинет искусствознания», ставший первым очагом научных исследований в области древнегрузинского искусства. Тогда же были организованы первые научные экспедиции в различные части Грузии для изучения и обмера памятников зодчества. В те годы у Г. Н. был единственный сотрудник — архитектор Николай Павлович Северов, снискавший позднее славу и своей творческой деятельностью, и

как исследователь древнегрузинского зодчества, в качестве ближайшего помощника Г. Чубинашвили. Впоследствии экспедиции получили большой размах, охватив и другие отрасли искусства. В течение нескольких десятилетий был собран колоссальный фактический материал, представляющий собой необходимую основу для научных изысканий, анализа и обобщений.

Выдающуюся роль сыграл Г. Н. Чубинашвили в первые годы после установления в Грузии Советской власти, в деле охраны и собирания древностей, в научной организации музеиного дела. Позднее Г. Н. систематически устраивал выставки древнегрузинского искусства в самой Грузии и за ее пределами. Особо следует отметить передвижную выставку, устроенную в 1930 г. в городах Германии. Был издан буклет-каталог с текстом Г. Чубинашвили, который, кроме того, выступил с лекциями в Берлине, Кёльне, Лейпциге, Мюнхене и других городах. Судя по немецкой прессе, и выставка и лекции вызвали живейший интерес.

До конца жизни Г. Н. являлся членом президиума правления Грузинского общества по охране памятников культуры, постоянным и наиболее авторитетным советником при решении принципиальных вопросов реставрации. Много сил и времени посвятил он древностям Сванетии — их изучению, собиранию, фиксации, придавая особое значение созданию музея в центре Верхней Сванетии Местии, он не раз составлял по этому поводу специальные обоснованные до-кладные записки.

Когда мы говорим о Г. Н. Чубинашвили, как о педагоге, профессоре, вместе с университетом необходимо упомянуть Академию художеств Грузии, которую, он возглавлял в течение шести лет, со дня ее основания.

Академия художеств — первое высшее художественное заведение во всем Закавказье — было открыто в мае 1922 г.

Первые свои шаги ей приходилось делать в довольно сложных условиях. Помимо обычных трудностей, сопутствующих всякому новому начинанию, следует учитывать и многое другое: само время было сложное. Академия родилась в годы перелома, когда в сфере идеологии, и собственно в сфере искусства, пути решения новых задач зачастую были неясны и спорны. Наряду с подлинно передовыми, революционными идеями, много было и псевдореволюционных, много было дешевых, обманчивых громких фраз. Молодежь легко могла сблизниться также и новыми формалистическими течениями захлестнувшими тогда мировое искусство. Г. Чу-

бинашвили смог — ценой больших усилий — заложить прочную профессиональную основу обучения, привить принципы подлинно реалистического искусства учащимся, оградить их от беспочвенных увлечений, воспитать так, чтобы они были подготовлены для достойного выполнения задач, поставленных перед искусством новой жизнью.

Вокруг себя он собрал наиболее видных художников и архитекторов, работавших в то время в Грузии, создав крепко спаянный коллектив. Трудно переоценить значение Академии для возрождения национального искусства. Его первые выпускники появились на поприще творческой деятельности уже на грани 20—30-х гг. Педагогическую работу Г. Чубинашвили продолжал и позднее, а в последние десятилетия жизни с особой заботой относился к воспитанию аспирантов и молодых научных работников.

В разное время Г. Н. заведывал отделом археологии и этнографии Музея Грузии, был заместителем его директора, руководил отделом архитектуры музея искусств «Метехи», был членом многих ученых и художественных советов.

В 1941 году, когда была основана Академия наук Грузинской ССР, Г. Н. Чубинашвили был включен в ее первый состав, а с I.IV того же года был назначен первым директором созданного тогда Института истории грузинского искусства (первое время именовавшегося сектором). На этой должности он оставался в течение 32 лет, до конца жизни.

Для того, чтобы лучше понять и оценить значение и характер научной деятельности Г. Чубинашвили, необходимо вкратце напомнить, в каком состоянии находилось изучение грузинского искусства до Октябрьской революции.

На протяжении XIX столетия и в начале XX, грузинские и русские ученые собрали значительный материал о грузинских древностях. В этом соотношении заслуги М. Ф. Броссе, Платона Иоселиани, Дмитрия Бакрадзе, Дмитрия Мегвинетухуцесишвили, Гр. Гагарина, графини П. Уваровой, акад. арх. Павлина, акад. Никодима Кондакова, акад. Николая Марра, и, в особенности, неутомимого исследователя древностей Евфимия Такайшвили хорошо известны. Их книги, конечно не потеряли своего значения (некоторые из них — большого значения) и по сей день. Большую ценность представляют, естественно, и фотографии, исполненные начиная с последних десятилетий прошлого века, главным образом. А. Ропиашвили и Д. Ермаковым. Но за малым исключением, трактовка накопленного материала имела «археологический» характер, что вообще было характерно тогда для трудов, посвященных византийскому и т. н. восточно-

христианскому искусству. Не считая двух-трех авторов, все остальные были по своей специальности историками и филологами. Памятники архитектуры, живописи или чеканки их интересовали не как произведения искусства, а лишь как исторические документы, как вспомогательный материал для освещения тех или иных вопросов истории. Не были установлены даты основных памятников грузинского искусства, основные этапы его развития.

В то же время, в специальной литературе сущность грузинского искусства, его место в кругу искусств других стран было представлено в совершенно искаженном виде. В европейской науке распространялось мнение, будто грузинское искусство лишено самостоятельного значения, будучи лишь ответвлением и отголоском византийского и армянского. По существу, мнение, что грузинское искусство полностью включается в пределы византийского искусства не отрицали и грузинские и русские ученые, отмечавшие некоторые его особенности. Излишне, конечно, говорить о том, что то немногое, что писалось за рубежом о грузинском искусстве, было полно грубых фактических ошибок. Это, конечно, объясняется не только ложной методологией, но и совершенно недостаточной информацией о грузинском искусстве.

В таких условиях, когда все здание истории грузинского искусства следовало сооружать с самого начала, с основания, от ученого, прежде всего, требовалось составление ясно определенного плана будущей работы. И действительно, целеустремленность, строгая систематичность и последовательность, умение из колоссального материала выделить основные проблемы, подчинить важнейшим вопросам второстепенные, способность вникать вглубь изучаемого предмета, острота и тонкость анализа — все эти свойства большого ученого — были проявлены Г. Н. Чубинашвили с самого же начала.

Естественно, что на первое место им была выдвинута архитектура, являвшаяся ведущим видом средневекового искусства во всех странах. Установление эволюции архитектуры сделало возможным дать периодизацию всего грузинского искусства, выявить ступени его стилистического развития.

Первыми объектами своих исследований он выбрал базилики, тип культового сооружения, распространенный во всем христианском мире. Путем стилистического анализа и критического изучения письменных источников, Г. Н. установил даты главнейших базилик; исследовал некоторые неизвестные образцы; показал, что грузинские базилики, несмотря на

идейно-тематическую общность с базиликами других стран, составляют особую группу, скорее родственную памятникам Ближнего Востока и в корне отличающуюся от римско-эллинистических (см. книги о Болниссском Сионе, об архитектуре Кахетии, I том Истории грузинского искусства); выявил своеобразный тип некупольных сооружений, названных им трехцерковными базиликами, зародившихся и распространенных только в Грузии, в период раннего средневековья.

Особенно большое принципиальное значение имеет монография о памятниках типа Джвари, т. е. о знаменитом храме Джвари, построенном на горе, у древней столицы Мцхета, на рубеже VI и VII вв., и о ряде других замечательных храмов VII в. Значение это определяется, с одной стороны, исключительными художественными достоинствами самих памятников, создание оригинального типа которых является результатом органического развития грузинского зодчества в предыдущее время; с другой стороны тем, что ложные концепции о древнегрузинской архитектуре были основаны, главным образом, на ошибочной интерпретации памятников именно этого типа. Естественно, восстановление научной истины в отношении построек типа Джвари, показ их подлинного соотношения и, конечно, их характера, было необходимо для того, чтобы все грузинское зодчество в целом было правильно освещено.

Монографически исследовал Г. Чубинашвили также и следующий этап развития грузинской купольной архитектуры, представленный не менее замечательным памятником — храмом в сел. Цроми (Восточная Грузия), построенном в 20—30-х гг. VII в. Очень важна теза автора о том, что Цромский храм, в котором — в отличие от построек типа Джвари — купол опирается не на стены, а на четыре свободностоящих столба, является одним из наиболее ранних законченных образцов распространенного во всем христианском мире типа «вписанного креста».

Обе эти монографии, по количеству и значению рассмотренных в них проблем, далеко выходят за пределы истории одной только грузинской архитектуры — без них не обойтись ни одному серьезному исследователю зодчества ближневосточных стран.

Свои исследования в области зодчества раннего средневековья Г. Чубинашвили обобщил в I томе «Истории грузинского искусства» (1936 г., на грузинском языке), охватывающем отрезок времени с древнейшего времени до середины VII в. н. э.

С самого же начала Г. Чубинашвили обратил внимание на архитектуру грузинского крестьянского жилого дома и,

в первую очередь, на тип т. н. — «дарбази» (см. изданные в 20-х гг. под его редакцией и с его же вступительным текстом альбомы «Дарбази в Картли»). Он выдвинул положение, согласно которому центральные композиции типа «Дарбази», являющиеся коренными, сыграли немаловажную роль в формировании средневековой монументальной купольной архитектуры в Грузии. Г. Чубинашвили был также первым, кто изучил образцы грузинской советской архитектуры — феодальные дворцы VIII—IX вв. в Кахетии.

Но Г. Чубинашвили — хотя его монографии были посвящены раннему времени — не ограничивал себя лишь первыми веками «христианской архитектуры в Грузии. Уже в 1925 г. он опубликовал небольшую, но важную по своему содержанию, статью о храмах в Алаверди, в Кутаиси («Храм Баграти») и в Мцхете (патриарший собор «Светицховели»). Эти три сооружения он выдвинул, как основополагающие памятники эпохи развитого средневековья, в которых стиль эпохи находит наиболее яркое, законченное выражение. Причем два из этих памятников — Мцхетский и Алавердский кафедралы — он и отнес к этому времени — раньше их даты не были точно зафиксированы. Позднее выдвинутые им даты документально подтвердились.

Как эта, так и другие его статьи, а также устраивавшиеся под его руководством выставки свидетельствуют о том, что уже к концу 30-х гг. у Г. Чубинашвили полностью сложилась концепция развития грузинского зодчества на протяжении средних веков, вплоть до перелома XVIII—XIX вв.

Впервые в полном виде он развернул картину этого развития в 1936 г., в своем известном докладе на I съезде архитекторов Грузии. Этот доклад — «Пути грузинской архитектуры» — следует признать первой научной историей грузинской архитектуры, в которой был показан собственно процесс развития, стилистические ступени.

Среди других трудов Г. Чубинашвили, посвященных архитектуре, наиболее важным является монументальная монография об архитектуре восточной провинции Грузии — Кахетии, охватывающая период времени с IV по XVIII вв. В книге рассмотрены образцы как гражданской, так и (в основном) церковной архитектуры, дается типологическое разгруппирование, картина общей эволюции, анализ памятников; и здесь рассмотрено множество проблем и громадный параллельный материал. Так же значительны исследования о памятниках переходной эпохи (VII—X вв.), книга о храмах Кумурдо и Никорцминда и, особенно, монография о пещер-

ных монастырях Давид-Гареджи. Здесь нарисована живая и увлекательная картина исторической жизни этого важнейшего очага средневековой грузинской культуры на протяжении многих веков (с VI по XVIII), кроме того, изучены и многочисленные фрески, представляющие собой один из значительнейших памятников грузинской монументальной живописи.

Не меньшее, чем архитектуре, место уделял Г. Чубинашвили в своих исследованиях и средневековой грузинской чеканке, занимающей одно из первых мест в мире. Он изучил колоссальное количество образцов — икон, окладов, крестов, утвари — собранных в музеях и сохранившихся на местах (главным образом в Сванетии), разгруппировал и датировал их, выявил картину стилистической эволюции и со всей очевидностью показал, что грузинская пластика, проявившая себя наиболее полно в чеканке по металлу, прошла своеобразный и независимый по сравнению с пластикой западных стран, путь развития. Картина эволюции стиля, показанная им на примере чеканки, сохраняет силу, естественно, и в отношении каменной и деревянной пластики.

